ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3915020

ნომერი: AR1590620

თარიღი : 03.04.2018

გაცემის თარიღი : 16.04.2018

გაცნობის თარიღი : 17.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49ბ ; ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვეთი 08/082);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ჩხაიძე პ/ნ 01008025753
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა, N 7, ბინა 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ჭავჭავაძე, N 49 ბ /ქალაქი თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე, N49, (ნაკვეთი 08/082) შპს „გეო ფიტნესი“ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე, მანათობელი ლაითბოქსის განთავსებას და არსებული საჩრდილობლის კონსტრუქციაზე ახალი სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.14.07.007.049, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892017189245 07/12/2017 წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ჭავჭავაძე, N 49 ბ /ქალაქი თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე, N49, (ნაკვეთი 08/082) შპს „გეო ფიტნესი“ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე, მანათობელი ლაითბოქსის განთავსებას და არსებული საჩრდილობლის კონსტრუქციაზე ახალი სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

-უზრუნველყოფილ იქნას ფასადზე სარეკლამო აბრების კონტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.